ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 294

"19" ივნისი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი №7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.03.052.001) მდებარე შენობაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტისთვის" (ს/ნ. 405378167) თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი №7/ბეგლარ ახოსპირელის ქუჩა №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.03.052.001) მდებარე შენობაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტისთვის" (ს/ნ 405378167) თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 ივნისის №25.973.1087 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლადო გუდიაშვილის მოედანი №7/ბეგლარ ახოსპირელის ქ. №2-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.03.052.001) მდებარე №1 შენობაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების (სარდაფში (ქვედა დონე - 6.14 ნიშნულზე) - 24.10 ფართი; სარდაფში (- 3.70 ნიშნულზე) - 394.59 კვ.მ ფართი, I სართულზე - 225.2 კვ.მ ფართი, II სართულზე - 389.71 კვ.მ ფართი; მანსარდაზე - 230.85 კვ.მ. ფართი) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დამოუკიდებელი კინო პროექტისთვის" (ს/ნ. 405378167) თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №6-ით განსაზღვრული თხოვების პირობებისა და დანართი №1-№5 წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზების შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**